

ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში

(პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში“ 1895 წელს, #11)

I

ჩვენს მწერლობაში ხშირად გაისმის ღაღადება, სამდურავი, დრტვინვა იმის გამო, რომ ქართველი ხალხი განათლებას გულ-ცივად ეკიდებაო. ამ მღაღადებელთა სიტყვები რომ სრული ნდობით მივიღოთ, ჩვენის გლეხებისთანა თაყვანისმცემელი გონების სიბნელისა ქვეყანაზედ მეორე ხალხი აღარ აღმოჩნდება. საბუთად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ არამც თუ ახალის სკოლების დაარსებაზედ ხელებს ატატანებენო გლეხები, დაარსებულების გაუქმებასაც ნატრობენო. რას მოასწავებს ეს სამწუხარო ამბავი, თუ არ უვიცობის სიყვარულს ქართველის ერისასაო? გამარჯვებულის კილოთი კითხულობენ ფიცხელნი ბრალმდებელნი ჩვენის ხალხისა.

ერთი ვკითხვით ამ ვაჟბატონებს: რად და როგორა ხდება, რომ იგივე გლეხი, მეტადრე იმერი, რომელიც სკოლის დაარსებაზედ სოფლად ხელებს ატატანებს, ხშირად რამდენიმე წლობით მუქთად ემსახურება ქალაქში რომელსამე აღას მხოლოდ იმ პირობით, რომ წიგნი ასწავლოს, წერა-კითხვის შეთვისებას დაეხმაროს. როგორ ავხსნათ ის მოვლენა, შენიშნული და აღიარებული წიგნების გამყიდველ სომეხთაგანაც, რომ ხშირად მშვიერი ქართველი, მონძებში გახვეული, შედის მაღაზიაში, თავისს ერთად-ერთს შაურს იღებს ჯიბიდგან და ყიდულობს რომელსამე წიგნაკს? ესევე სომხები გულწრფელად აღიარებენ, რომ ქართველი მდაბიო ხალხი უფრო მეტად ეტანება წიგნს, ვიდრე სომხები, რომელთაც გულ-გრილობას სწავლის მიმართ ვერავინ ვერ უკიჟინებს.

დიად, თუ სამართლის თვალთ გავისინჯავთ საგანს, ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ დედამიწის ზურგზედ იქნება მეორე ხალხი არ არსებობდეს, რომელსაც იმდენი წყურვილი ჰქონდეს სწავლისა, როგორც აქვთ იმიერ ქართველებსა. გაზვიადებული არ იქნება ვსთქვათ, რომ ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენადვე სწყურიათ, როგორც ცხელის უდაბნოს მწყურვალეს ირემს ცივის წყაროს დაწაფება.

მიუხედავად იმისა, ქართველი გლეხი ერიდება, გაურბის სკოლასა, რომელიც სამართლიანად ითვლება სწავლისა და განათლების უმთავრესს წყაროდ. რითი უნდა ავხსნათ ესა? რად არსებდნენ ოცის წლის წინად დიდი ხალისით სკოლებსა და რად შეაქციეს ზურგი ახლა?

გლეხი სკოლიდან მოელოდა: „ჩემი შვილი მტკიცედ ისწავლის ბევრს კარგსა: კარგად შეითვისებს ქართულს წერა-კითხვასა, ქართულს წიგნსა, კურსის დასრულების შემდეგ ოჯახში გვიკითხავს თავისუფალს დროს სახარებასა და სასარგებლო საერო წიგნებსა, შეეძლება დასწეროს თამასუქი, სხვა-და-სხვა წერილი, ექმნება ცოდნა ცხოვრებაში გამოსაყენებელი, მართებული სიტყვა-პასუხი ეცოდინება, შეეძლება ეკლესიაში იგალობოს და იკითხოს; ამასთან გონიერებით, ზრდილობით და მხნეობით იქმნება მათზედ უკეთესი, ვინც სკოლაში არა ყოფილაო“.

ამ ნაყოფს მოელოდა გლეხი სკოლიდგანა. მის მაგიერ რა მიიღო, რა მოიმკო? კვილი „ს ე რ ე ნ კ ი კ ო ზ ლ ი კ ი ს ა“ და საყველ-პურო რუსული „ქ ა რ გ ო ნ ი“, რომელიც სკოლის

დატოვების შემდეგ რამდენსამე თვეს უქრება თავიდგანა ისე, როგორც გაჰქრა შარშანდელი თოვლი. ამასთან ისიც შენიშნა, რომ სკოლაში ნამყოფი ბავშვები გონებითა და ზნეობით არამც თუ არ აღემატებიან სხვა ბავშვებს, სკოლის გარეშე დარჩენილებს, არამედ იმათზედ დაბლა დგანან.

გლახი როდია თავისი მტერი, რომ ამისთანა სკოლებზედ თავისის დატაკის ჯიბიდგან ფული ჰხარჯოს და თავისი გაჭირვებული ცხოვრება უფრო კიდევ გაამწაროს.

და ჩვენ განათლებულნი ქართველნი, რას ჩავდივართ საქმის გასასწორებლად, წაღმა დასატრიალებლად ? ვხმარობთ ყოველს ღონისძიებას, რომ სკოლამ გადაუხვიოს უკუღმართს გზასა, ჩავარდეს ჯეროვანს კალაპოტში და გლახს წადილი აღუსრულოს?

სრულიადაც არა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ საარაკო სიბრძავით ვცდილობთ, რომ ფაქტიური, უკანონო სენი პრინციპიალურ, კანონიერ სენად გარდავაქციეთ და უკურნებლად სენი შევყარეთ მთელს ხალხის განათლებასა. აი ამისი ცხელ-ცხელი მაგალითი.

„ივერიაში“ 22 ივლისიდან დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო კორესპონდენცია იმისი უტყუარი საბუთია, თუ რა უვიცობით და წინ დაუხედაობით ვიქცევით ამისთანა უდიდეს საქმეში, როგორც ხალხის განათლებაა.

„ეხლანდელს სასოფლო დასაწყისს სკოლებსაო, ამოზობს კორესპონდენტი, იმდენი სარგებლობა არ მოაქვს: ამ სასწავლებელში ყმაწვილი ჯერ ერთი ბევრს არაფერს იძენს და რასაც სწავლობს, ისიც ორის, ან სამის თვის შემდეგ, რაკი სასწავლებლიდან გამოვა, ავიწყდება და ქართული წერა-კითხვა აღარ ეხერხება. ამის მნახველს გლახს, რასაკვირველია, გული უტყდება სწავლაზედ და აღარ იმეტებს არავითარს წვლილს იმის სასარგებლოდ“.

მერე რა ღონისძიება აღმოუჩენია კორესპონდენტს ამ სენის წინააღმდეგ. ამ ქართულის წერა-კითხვის დავიწყების მოსასპობლად? იგივე ღონისძიება, რომელიც იხმარა ჟორჟ-ზანდის საარაკო გრიბულმა, რომელიც, წვიმისაგან შეშინებული, აღელვებულს მდინარეში ჩახტა, იმის მაგივრად, რომ მშრალი თავ-შესაფარი მოენახა.

არა გჯერათ? მოისმინეთ.

„გლახებს განუმარტეს, განაგრძობს წ-ძე, სწავლის სარგებლობა. გლახები ყველგან რაჭაში დასთანხმდნენ, მიიღეს კეთილი რჩევა და განაჩენიც დაადგინეს: დააარსონ ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებლები ყოველს საზოგადოებაში სამეურნეო, ანუ სახელოსნო განყოფილებით. ამ სასიამოვნო ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ხალხი არა ყოფილა იმისთანა მდევნელი და მოძულე სწავლა-განათლებისა, როგორც გვეგონა; ნორმალური სასწავლებელი სახელოსნო განყოფილებით უეჭველად დიდს სარგებლობას მოგვითანს და შეაყვარებს ჩვენს ხალხს სწავლა-განათლებას“.

ამ სახით, ჩვენი ხსნა თურმე ნორმალურ სასწავლებლებში ყოფილა. მას შესძლებია გონებით განავითაროს ჩვენი ხალხი, სწავლა შეაყვაროს, და ისეთი კარგი და მტკიცე ქართული წერა-კითხვა შეასწავლოს, რომ სკოლიდან გამოსვლის შემდეგ აღარავინ დაივიწყოს.

ვაი ჩვენი ბრალი, ვაი ჩვენს უვიცობასა!

ნორმალურს სასწავლებელს მხოლოდ სახელი ჰქვია კარგი, უმეცართა თვალის ასაბმელად. იმას ეს სახელი იმდენადვე შეჰფერის, როგორც ქურდს პატიოსნიძე, მძინარეს ფხიზლაძე, ცრუს მართალაძე. ამ სასწავლებლის პროგრამიდან, უპირველესად ყოვლისა, განდევნილია სრულიად ქართულის წიგნის სწავლება. არც ერთი გაკვეთილი არ არის ნაწილადევი ქართულის ენისათვის არც პირველს წელსა და არც შემდეგს წლებში. ყველა საგნის სწავლება იმავე თავითვე უნდა მიუცილებლად სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზედ, თვით საღმრთო სჯულიც-კი, ასე გასინჯეთ. ერთი სიტყვით, ეს სასწავლებელი ნამდვილი ანტი-ქართული სკოლაა. სადაც დედა-ენას ბავშვებისას არა აქვს სრულიად ადგილი არც როგორც საგანსა და არც როგორც ღონისძიებას სწავლისას. იგი წმინდა რუსული სკოლაა და სწორედ ამის გამო ჰქვია ნორმალური. ამიტომ იქ ქართულის წიგნის შესწავლა ყოვლად შეუძლებელია, აგრეთვე შეუძლებელია ბავშვების გამართვა ქართულს სიტყვიერებაში და ყველაფერს ქართულში.

რაც შეეხება გონების განვითარებასა და ცოდნის შეძენას, განა ეს შესაძლებელია იქ, სადაც მთელი სწავლა მოწყობილია ჯერ შეუსწავლელს ენაზედ და სადაც აუცილებლად სუფევს ტვინის გამაწყალებელი კაჟკაჟური გაუგებარი გაზეპირება? ამითი არა თავდებიან „ნორმალური ღირსებანი“ ამ სკოლისა, რადგანაც ყველაფერი ქართული აქედგან გამოკლებულია, ამიტომ რაღა საჭიროა აქ ქართველი მასწავლებლები, და აკი კიდევ ჰკარგავენ ქართველები ადგილებს ამისთანა სასწავლებლებში.

რამდენიმე წლის წინათ იმერეთის ერთს დაბაში დააარსეს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. სწავლა მაშინვე მოეწყო არა ქართულს, არამედ უცნობ რუსულს ენაზედ, საღმრთო სჯულის მასწავლებლად ამ სკოლაში დანიშნეს ერთი მეტად მხნე და განვითარებული დეკანოზი. ამან სცადა აესრულებინა პროგრამის მოთხოვნილება და საღმრთო სჯულის სწავლება იწყო რუსულ ენაზედ. მაგრამ მალე დაინახა, რომ სწავლა-კი არა, ნამდვილი ჯვარცმა გამოდიოდა, და გამოუთქმელს წვალებას და ტანჯვას ითმენდნენ მოწაფენი, საღმრთო სჯულის მნიშვნელობა მთლად იკარგებოდა. სარწმუნოების დანერგვის მაგივრად მოზარდთა გულში მისი გათახსირება, შელახვა იბადებოდა. ადგა და სადაც ჯერ არს მოახსენა: ან ნება მიბოძეთ ქართულად ვასწავლო სჯული, ან იძულებული ვიქნები დავეთხოვო სრულიად სასწავლებელსაო. „პროგრამა წინააღმდეგია თქვენის სურვილისაო“, იყო პასუხი, და დეკანოზი სამუდამოდ გამოეთხოვა ამ სკოლასა. სხვა მასწავლებლები სჯულისა კი არხეინად ჯვარს აცმენ ასეთივე ნორმალურს სასწავლებლებში საღმრთო სჯულსაცა და ბავშვებსაც, ჯამაგირის გულისთვის...

ცხინვალის გაბრიყვდა ამ რამდენისამე წლის წინად და დაიარსა ნორმალური სასწავლებელი. დიდი იმედი ჰქონდათ ცხინვალელებს, როგორც რაჭველს კორესპონდენტსა. მაგრამ პირველსავე ხანში დაინახეს, რომ ქართულის წიგნის რიგიანს სწავლებას, რის გულისათვისაც დააარსეს უმეტესად ეს სკოლა, სრულიად ადგილი არა აქვს. დაფაცურდნენ, შეუდგნენ ჩივილს სიტყვით, თუ კალმით, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, წადილი ვერ შეასრულეს. ჩვენი რაბრალია, პროგრამა ნებას არ იძლევაო, და ნორმალური სკოლა ხომ თქვენი სურვილისამებრ დაარსდაო, მიიღეს პასუხად.

მამასადაძე, როდესაც კორესპონდენტი იწუნებს ახლანდელს სასოფლო სკოლებს, რომელშიაც კანონით და პროგრამით დადგენილია ქართულის ენის სწავლებაც, ქართულის ენის

სწავლებაც, ქართულის ენის ხმარებაც საგნების ახსნის დროსა, საღმრთო სჯულის სწავლება დედა-ენაზე მთელის კურსის განმავლობაში და ჩვენის ხალხის ხსნას ხედავს ნორმალურს სასწავლებელში, რომელიც უარ ჰყოფს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, და წარმოადგენს ჩრდილოეთიდგან გადმორგულს მცენარეს, განა ეს არ ურჩევს ჩვენს ხალხს გრაბულსავით მოიქცეს ნაკლულევანებიანი სკოლები უკუღმართ სკოლებზედ გასცვალოს, წვიმისაგან გადასარჩენად ადიდებულს მდინარეს მიეცეს. მეტი უვიცობა და სიბრმავე კიდევ იქნება!

II

სამაგიეროდ, იქნება ნორმალური სკოლები ჩვენს ხალხს სძღვნიდნენ რუსულის ენის და რუსულის წიგნის ცოდნას და ამითი ცოტათი მაინც ამცირებდნენ იმ დიდს ზარალს, რომელიც მათ მოაქვთ ქართულის წიგნის და მეტყველების უარყოფით? გავშინჯოთ.

უნდა ვიცოდეთ, რომ რუსული ენა ძლიერ ძნელია თვით ევროპელებისათვის. სახელოვანს ინგლისის ისტორიკოსს ბოკლს საოცარი ნიჭი ჰქონდა ენების შესწავლისა. მან თვრამეტი სხვა-და-სხვა ენა ზედმიწევნით შეისწავლა სულ ადვილადა მოკლე დროში. ბოლოს იგი შეუდგა რუსულს ენასა, ძლიერ მოინდომა გავარჯიშებულიყო, მაგრამ წადილი გაუცრუვდა. ისეთი ძნელი გამოდგა ეს ენა ბოკლისათვისაც-კი და იმდენს დროს ითხოვდა, რომ იგი იძულებული იყო ხელი აეღო მასზედ. ბისმარკი, პეტერბურგში ელჩად ყოფნის დროს, ბევრი ეცადა შეესწავლა რუსული ენა, ცალკე მასწავლებელიც დაიქირავა; მაგრამ საყველ-პურო რუსულის იქით ვერ წავიდა. მესამე ამბავი ნაკლებად საგულისხმიერო არ არის. წინა წლებში როდესაც რუსეთსა და საფრანგეთს შორის მეგობრობა გაჩაღდა, ფრანგებში გაძლიერდა სურვილი რუსული ენის შეთვისებისა, მით უმეტეს, რომ ეს საჭირო იყო ვაჭრობის და აღებ-მიცემობის გაჩაღებისათვის რუსეთთანა. ამის გამო საფრანგეთის ბევრს ქალაქში დაარსდა პრაქტიკული კურსები რუსულის ენისა. მრავალი ხალხი მიაწყდა ამ კურსებს. და რითი გათავდა საქმე? რავდენისამე თვის შემდეგ მთლად დაცარიელდა ეს კურსები და დაიხურა. რად? იმიტომ რომ მოულოდნელმა სიმძნელემ ენისამ სრულიად დააფრთხო ხალხი, ეს ამბავი აღნიშნული იყო თვით რუსულს სამინისტრო ჟურნალში. (« Журнал Министерства Народного Просвещения »).

თუ ასე ძნელია რუსული ენა ევროპელთათვის, რომელთა ენები ერთის მოდგმისანი, ნათესაობისანი არიან რუსულს ენასთან, რამდენად უფრო ძნელი უნდა იყოს იგი ქართველებისათვის, მეტადრე სოფლის ყმაწვილებისათვის, რომელთა დედა-ენას არავითარი მსგავსება არა აქვს მასთან არც ლექიკონით და არც საგრამატიკო ფორმებითა. ამ საზოგადო დედუქტიურს მოსაზრებას ემოწმება უტყუარი ამბები ჩვენის ხალხის განათლების ისტორიისა.

ამ ოცდა ათის წლის წინად ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ დააარსა ბევრს სოფლებში სკოლები ოთხის წლის კურსით, და მთელს დროს მხოლოდ რუსულს ენას ანდომებდნენ, მარტო მას ასწავლიდნენ. დიად, მხოლოდ ამ ფორმალურს მიზანს ემსახურებოდნენ ეს სკოლები, - ყოველი სხვა დანიშნულება სკოლისა სრულიად მივიწყებული, ათვალწუნებული იყო. ახლა ვიკითხოთ: მიეწივნენ ეს სკოლები ამ მიზანსა? დანერგეს ხალხში რუსულის ენისა და წიგნის ცოდნა? იმაზედ მეტი ნუ დანერგილა ჩვენში ყოველი ჭირი, რამდენადაც დანერგეს ეს უცხო ენა, უცხი წიგნი. დაიარეთ ის სოფლები, სადაც ოცი წელიწადი მოქმედებდნენ ეს სამაგალითო რუსული სკოლები და თქვენი თვალითა და

ყურით დარწმუნდებით, რომ აქ რუსულის ენის და წიგნის სახსენებელიც-კი გამქრალია, და არც ერთი კვალი აღარ დარჩენილა სკოლის ხანგრძლივი არსებობისა.

თუ ჩვენებურს სადირექციო სკოლებს ვათხოვებთ ყურადღებასა, აქაც დავინახავთ სასოფლო სკოლის სრულს უძღურებას რუსულის ენის და წიგნის გავრცელებისათვის ჩვენს გლეხობაში.

ამასვე გვასწავლის რუსეთის სახალხო სკოლის მაგალითი. ახლა რუსეთში ყველა შეგნებულისგან აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ რუსის ბავშვებისათვის რუსულის წიგნის რიგიანად შესასწავლად მიუცილებლად საჭიროა ოთხის წლის კურსი სასოფლო სკოლებში, ხოლო ქართველმა ბავშვებმა უნდა გაიკვეთონ არა მარტო რუსული წიგნი, არამედ რუსული ენაც, რომელიც სკოლაში შესვლის დროს არ იციან. რომელიმე უცხო ენის შეთვისება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ამ ენაზედ წიგნის ცოდნის შეძენა. ეს ყველას შეგნებული კარგად აქვს. ეს ორი სიძნელე რომ ერთმანეთს შეუფარდოთ და თანასწორად ჩავრიცხოთ, გამოვა შემდეგი: რათა ქართველმა ბავშვებმა რიგიანად შეითვისონ სკოლაში რუსული ენა და რუსული წიგნი, მიუცილებლად საჭიროა მოიხმარონ ორჯერ მეტი დრო, ვიდრე რუსმა ბავშვებმა, რომელთაც სკოლაში შესწავლის დროს თავისი ენა კარგად იციან. ესე იგი, უნდა ისწავლონ რვა წელიწადი მაინც, ისწავლონ გამუდმებით, ბეჯითად, და ამასთან ყოველი გარემოება ხელს უნდა უწყობდეს. ხოლო ამისთანა გრძელ-კურსიანი სკოლები ჩვენს სოფლებში ყოვლად შეუძლებელია არამც თუ ეხლა, არამედ მახლობელს მომავალშიაც.

იმ ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სასოფლო სკოლებს-კი, რომელნიც ეხლა არსებობენ საქართველოში, შეუძლიათ კარგი, აზრიანი წერა-კითხვა ასწავლონ ქართულს ენაზედ, თუ მასწავლებლები სინდისიანად და მხნედ მოეკიდებიან თავისს მოვალეობის ასრულებას, და რაც მინიჭებული აქვს ქართულს ენას სკოლების პროგრამით, არ შეამცირებენ, არ მოაკლებენ, ექვს გაკვეთილს კვირაში ორ-სამ გაკვეთლად არ შეამოკლებენ. ამ შემთხვევაში აქ კურს დასრულებულს ქართველს ბავშვებს შეეძლებათ შინაურობაში სასარგებლო წიგნები იკითხოთ ქართულს ენაზედ გაიგონ და შეივსონ ის პირველ დაწყებითი ცნობები, რომელიც სკოლიდგან გამოუტანიათ. რაც შეეხება რუსულს ენას, ეს სკოლები შესძინებენ საყველ-პურო ლაპარაკსა და შეძლებას, რომ რომელიმე მარტივი განცხადება რუსულს ენაზედ გაიგონ და გააგებინონ გლეხებს. რუსულის ენის და წიგნის შეთვისება კი იმდენად, რომ ბავშვებმა შემდეგში თავისუფლად იკითხოთ სასარგებლო რუსული წიგნები და საჭირო ცოდნა მოიპოვონ, ყოვლად შეუძლებელია ყოველი სასოფლო სკოლისათვის, და ამ წადილს იგი ვერასოდეს ვერ განახორციელებს, თუნდა მასწავლებლად ნამდვილი პესტალოცები ჰყავდეს და მოწაფეებად უნიჭიერესი ბავშვები.

რადგანაც ნორმალური სკოლა სრულიად უარჰყოფს ქართულს ენას, ქართულს ენას, ქართულს წიგნსა და წერა-კითხვასა, ქართულს მეტყველებასა, იგი ამის გამო აცდენილია ერთად ერთს ნამდვილს სიკეთესა, რომლის მოტანაც ჩვენს სოფელში სკოლას შეუძლიან და ამის გამო იგი ხდება ხალხისათვის ყოვლად გამოუსადეგარ დაწესებულებად. ეს კიდევ ცოტაა. ნორმალური სკოლა სხვა სასოფლო სკოლებზედ ნაკლებად ჰნერგავს ქართველის ბავშვის გონებაში თვით იმ საყველ-პურო რუსულს ენას, რომელიც თავიც არის და ბოლოც ამ ნორმალურის სკოლის დანიშნულებისა და რომელსაც შეწირული აქვს ყოველი სხვა მიზანი სკოლისა...

ეს როგორღა ხდება?

III

ქართულის წიგნის რიგიანად სწავლება არამც თუ თვითონ არის სიკეთე, არამედ უკეთესს საშუალებას შეადგენს რუსულს წერა-კითხვაში ბავშვების ადვილად გამართვისათვის. ყმაწვილი, რომელსაც კარგად შეუთვისებია ქართული წერა-კითხვა, თითონ შეუწევნელადაც შესძლებს რუსული წიგნი ისწავლოს. წინააღმდეგ ამისა, როცა ქართველს ბავშვს გადაახტუნებენ ქართულს წიგნსა და პირდაპირ მიაჩეჩებენ ხელში რუსულს ანბანს, იგი დიდს დაბრკოლებას ჰხედავს და ხეირიანად ვერ ერევა ამ სიძნელეს. მოგეხსენებათ, რომ კითხვა-წერა ძლიერ ძნელი პროცესია. ეს იქიდგანა სჩანს, რომ ზოგი მთელს სიცოცხლეში ვერა სწავლობს ვერც რიგიანს კითხვასა და ვერც შნოიანს წერასა დედა-ენაზედაც კი, თუმცა ბევრსა სცდილობს. მით უმეტეს უძნელდება ეს პროცესი უცხო ენაზედ იმას, ვინც მოკლებულია ამას ცოდნასს თავისს ენაზედ.

ამის მსგავსადვე, გამართვა ქართულს მეტყველებაში ძლიერ შველის შეთვისებას უცხო ენისას. ბავშვი, რომელიც გავარჯიშებულია-ყოველი აზრი გამოთქვას თავისს დედა-ენაზედ შესაფერის სიტყვებითა და ფრაზებით, რომელსაც მეტყველების ნიჭი გახსნილი, გალესილი აქვს, ყოველს უცხო ენაზედ უფრო ადვილად ეჩვევა თავისი აზრი სწორედ, მკაფიოდ გამოსთქვას. გარნა, თუ იგივე ბავშვი ააცდინეს თავისს ღვიძლს მეტყველებას, ვერასოდეს ვერ შეითვისებს უცხო ენის მარჯვედ ხმარებასა. მეტყველი დედა-ენაზედ ადვილად შეიქმნება მეტყველი უცხო ენაზედაც. მუნჯი ღვიძლს ენაზედ, მეტ-ნაკლებობით მუნჯი იქმნება სხვა ენაზედაც... ნორმალურს სკოლას კანონად, მიზნად დადებული აქვს მუნჯობა ქართულს ენაზედ, ამიტომ იგი რუსულს ენაზედ ვერას დროს ვერ შეათვისებინებს მოსწავლეებს რიგიან მეტყველებასა.

ყოველის ენის შეთვისება დამოკიდებულია გონების განვითარებასა და სიფხიზლეზედ. ნორმალური სკოლა სწავლას აწარმოებს ჩვენს ქვეყანაში სრულიად უცნობს, გაუგებარს ენაზედ, და ამის გამო არამც თუ არ ეხმარება ბავშვების გონების გაღვიძებას, განვითარებას, არამედ უხშობს, ძილსა და ბურანში ამყოფებს, და ამისთანა მიზინდებული გონებით როგორ უნდა მოერიოს ბავშვი იმისთანა ძნელს ენას, როგორც არის რუსული ენა.

აგრეთვე კარგად მოეხსენება ყველასა, რომ ხალისი უპირველესი პირობაა სკოლის წარმატებისა და ყოველი საქმის კეთილად წარმართვისათვის. სადაც ხალისი არ არის, იქ ამაოა ყოველი ცდა. ნორმალური სკოლა, როგორც ანტიპედაგოგიური დაწესებულება ჩვენში, სრულიად უკლავს ყოველს ხალისს ბავშვს, რადგანაც ყოველიფერი, რაც ბავშვს უყვარს, უარყოფილია ამ სკოლაში; იგი ღვიძლს დედას როდი ჰგავს, რომელიც ალერსითა და სიყვარულით ექცევა თავისს შვილებსა, არამედ მოგაგონებთ დედინაცვალს, ავსა და უგულოსა. სწავლას ისმენს ბავშვი არა იმ ენაზედ, რომელიც ესმის და უყვარს, არამედ სრულიად უცხოზედ, უცნობზედ. საწყალს ორგვარი სიძნელე აწევს კისერზედ-შინაგანი და გარეგანი, აზრი და ენა, და ვერც ერთს ხეირიანად ვერა სძლევს. სკოლა ხდება ბავშვისათვის მძიმე ტვირთად, სატანჯველ რამედ, და, ამის გამო, იგი სრულიად ჰკარგავს სწავლის ხალისს საზოგადოდ და რუსულის ენისას კერძოდ.

ისიც ყველამ უწყის, რომ თუ ბავშვს სკოლამ გაუხსნა გემო სწავლისა, საქმე მოგებულად უნდა ჩაითვალოს. ყმაწვილი, რომელმაც ცოდნა იგემა, სკოლის შემდეგაც ეძებს ამ ცოდნასა, გახსნილს მადას თავისი გონებისას აკმაყოფილებს ყოველი ღონისძიებით, სულ ახალ-ახალი აზრები სწყურიან, სცდილობს აავსოს აუზი თავისი გონებისა ახალის შინაარსით, რადგანაც ქართული ლიტერატურა უფრო ღარიბია რუსულზედ, ამიტომ მარტო პირველს ვერ დასჯერდება და მეორეზედ გადავა უთუოდ. მაგრამ განა ნორმალურს სკოლას შეუძლიან გაუღვიძოს ბავშვს მადა სწავლისა, როდესაც აქ ყველაფერი უგემურად, უკულმართად არის მოწყობილი, თითქოს განზრახ სურთ ცოდნის მადა სრულიად დაუკარგონ ბავშვსაო?..

ერთი სიტყვით, როგორც ანტიპედაგოგიური, უკულმართი დაწესებულება, ნორმალური სკოლა ჩვენთვის ყოველ მხრივ მავნებელი და მაზარალებელია, მაზარალებელია სკოლის საზოგადო სიკეთისათვის და კერძოდ თვით რუსულის ენისათვის.

მაშ, რის მაქნისია იგი? რად არის საქართველოში მოვლენილი? რა განზრახვით და აზრით დაბადებულა და არსებობს? ნორმალური სკოლა ჩინებული ხერხია, საუცხოვო ღონისძიებაა დასამარხავად ქართულის ენისა, ქართულის მეტყველებისა, ქართულის წიგნისა, წერისა, სიმღერა-გალობისა, ქართულის ისტორია - გეოგრაფიისა, ერთის სიტყვით, ყოველის საეროვნო-საუნჯისა. აი რა უკულმართ მიზანს ემსახურება და მშვენივრადაც ემსახურება ეს სკოლა.

და ჩვენ-კი, საარაკო სიბრმავეთ, გაუგონარის სირეგვენით ხელს ვუმართავს ამ ნაირს სკოლას, ვნატრობთ მას, ვევედრებით მთავრობას - დაგვიარსოს იგი, -უდიერად ვატყუებთ ხალხსა, ჩვენს რჩევაზედ მონდობილსა, და ჩვენივე ხელით ვმარხავთ ჩვენის ერის მომავალსა, ეროვნებასა, არსებობასა. გაგონილა?

როგორც ყოვლად უმსგავსს, გონჯს ქალს, დახავსებულს და დაბერებულს, არაფერში გამოსადეგს, ასაღებენ, ათხოვებენ დიდის მზითვის მეოთხებით, ისე ამ არა-სკოლას ბაზარს უხსნიან იმისთანა სიმპატიური დაწესებულებით, როგორც არის სამეურნეო და სახელოსნო განყოფილება. მაგრამ, როგორც ყოვლად უვარგისს ქალს მზითვეი ვერაფერს შველის, ისე ამ სკოლას ეს პრაქტიკული დამატებანი ფასს ვერ მოუმატებენ. სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი მხოლოდ მაშინ გამოიღებენ, მოგვცემენ ჯეროვანს ნაყოფსა, მაშინ წააყენებენ წინ ხვნა-თესვას, მევენახეობას და ბაღოსნობას, აგრეთვე დაეხმარებიან სხვა-და-სხვა ხელოსნობის გავრცელებას, როდესაც დაკავშირებულნი იქნებიან პედაგოგიურად მოწყობილსა და ქართულს ნიადაგზედ დაყენებულს სკოლასთანა მოგეხსენებათ, რომ თუ საღი ვაშლი გვერდით მოუდე დამპალს ვაშლსა, იგი ამ თავისს მეზობელს ვერ გაასაღებს და თვითონაც დაღპება. ასე მოხდება ამ შემთხვევაშიაც. დამპალი ნორმალური სკოლა უნაყოფოდ ჰქმნის ორსავე ხსენებულს პრაქტიკულს განყოფილებას.

კიდევ ცოტაოდნად მოგვეტევებოდა ჩვენ ეს დიდი ცოდვა, რომ ნორმალური სკოლის გარეშე ხსნა არ იყოს, სხვა გვარი სკოლების დაარსება არ შეიძლებოდეს კანონით. მაგრამ ეს ასე არ არის. კანონს, ჩვენის ხალხისთვის დაუდგენია ერთ-კლასიანი და ორ-კლასიანი სასოფლო სკოლები, რომელთა პროგრამაში მეტ-ნაკლებობით ჯეროვანი ადგილი უჭირავს ქართულს ენას, როგორც საგანსა და როგორც ღონისძიებას სწავლებისას. და ეს პროგრამა რომ

სინდისიანად და პატიოსნად სრულდებოდეს, კარგს სიკეთეს შესძღვნიდნენ ეს სკოლები ჩვენ ქვეყანასა. აკი კიდევ სძღვნიდნენ წინა წლებში ვიდრე კანონიერს პროგრამას, შედგენილს სახალხო სკოლის მოსწავლეებელთა მიერ და მთავრობისგან დამტკიცებულს, არა ჰღალატობდნენ. განა ამ სკოლებს ნაყოფი არ არის უმთავრესად აღორძინება ამ ბოლოს წლებში ჩვენის მწიგნობრობისა? აი ამისთანა სკოლების გამრავლებას უნდა ჰქონდეს მიპყრობილი ჩვენი ყურადღება და აგრეთვე იმას, რომ პროგრამა, აღიარებული კანონებისაგან და გამოცემული სახელმძღვანელოდ მთავრობისაგან, ხორციელდებოდეს, სრულდებოდეს, როგორც რიგია, და ქართულს ენას არ აკლდებოდის არც მცირეოდენი ნაწილი იმ უფლებისა, რომელიც მინიჭებული აქვს მას ამ სკოლების პროგრამითა.

რა დასკვნა გამოდის ნათქვამითგან?

ის, რომ არამც თუ აღარც ერთი ნორმალური სკოლა აღარ უნდა დავაარსოთ ჩვენს ქვეყანაში, არამედ გვმართებს-ყოველი ღონისძიება ვიხმართ, რათა დაარსებული ნორმალური სკოლები გადაკეთებულ იქმნან ყველგან აღმოსავლეთსა და დასავლეთს საქართველოში ორ- კლასიან სასოფლო სკოლებსა სამეოურნეო და სახელოსნო განყოფილების დამატებით.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ქ.ხაშურის #8 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **ლიზი ალექსიძემ**.